

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>თურქული ფილოლოგია</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი თურქულ ფილოლოგიაში</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>240 ECTS კრედიტი</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი სწავლის შედეგები</p>	<p>დღევანდელ მსოფლიოში დღითიდღე მატულობს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი პოტენციალი და როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში. დღეს თურქოლოგიური კვლევითი და სასწავლო ცენტრები იხსნება დასავლეთის იმ ქვეყნებსა და უნივერსიტეტებში, სადაც აქამდე ასეთი ინტერესი არ არსებობდა. დღევანდელმა საქართველო თურქეთის სოციალურ-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, საქართველოში არსებულმა თურქულმა ინვესტიციებმა გამოიწვია თურქულის სპეციალისტებზე მოთხოვნილების ზრდა.</p> <p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედებს 1994 წლიდან . საბაკალავრო პროგრამა ამზადებს თურქული ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს პროფესიული საქმიანობისათვის, რაც ეფუძნება ზოგადჰუმანიტარული და ზოგადფილოლოგიური ცოდნის შექმნას.</p>
<p>წავლის შედეგები</p>	<p>კურსდამთავრებულს, რომელსაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭება, შესაძლებლობა ეძლევა, სწავლა განაგრძოს შემდგომ საფეხურზე.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. აქვს თურქული ფილოლოგიის (თურქული ენისა და ლიტერატურის) ფართო ცოდნა. 2. ფლობს თურქულ ენას B.2.1 დონეზე. 3. აქვს მთარგმნელობითი საქმიანობის საფუძვლების ზოგადი ცოდნა. 4. აცნობიერებს თურქული ფილოლოგიის კომპლექსურ საკითხებს. <p>შეუძლია თურქული აუდიო-ვიდეო მასალის აღქმა და გააზრება; თურქულად საუბარი, კითხვა, წერა; თარგმანის შესრულება ქართულიდან თურქულად და თურქულიდან ქართულად;</p> <p>შეუძლია საკუთარი აზრის ლოგიკური და თანმიმდევრული გადმოცემა თურქულ ენაზე როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში;</p> <p>შეუძლია თურქულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგადად, ორიენტალისტიკასა (არაბული და ოსმალური ენები, თურქეთის ისტორია) და ფილოლოგიაში მიღებული ცოდნის ინტეგრირება პრაქტიკაში;</p> <p>შეუძლია თურქულენოვანი ტექსტების, მხატვრული ლიტერატურის, სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება;</p> <p>შეუძლია თურქული ენობრივი მასალისა და მხატვრული ტექსტების მოძიება, შეროვება და განმარტება, ასევე, მათი ანალიზის დროს პროფესიული მიდგომის გამოვლენა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; აქვს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატი ოპერირებისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.</p> <p>ჩამოყალიბებული აქვს სოციალური უნარები: შეუძლია ჯგუფში ეფექტური მუშაობა როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში; შეუძლია ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება; აზრის ნათლად ჩამოყალიბება, არგუმენტების შემუშავებისა და მათი დაცვის გზით;</p> <p>ლინგვისტური უნარები: შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია: ა) ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია როგორც მშობლიურ, ისე თურქულ ენაზე; ბ) ფლობს ერთ-ერთ ევროპულ ენას დადგენილი საუნივერსიტეტო სტანდარტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია თურქული ენისა და ლიტერატურის ფართო ცოდნა, რომელიც ემყარება შესაბამისი დონის სახელმძღვანელოებს და მოიცავს სფეროს მოწინავე ასპექტებს.</p> <p>სპეციალისტად ჩამოყალიბებასთან ერთად პროგრამა ითვისებს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას.</p>

	<p>ტექნოლოგიური უნარები: დარგთან მიმართებაში თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</p> <p>შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში თურქული ენისა და ლიტერატურის განხრით, თარგმანმცოდნეობის, ლინგვისტიკის და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით.</p> <p>მონაწილეობს სამოქალაქო ცნობიერების, ტოლერანტობის, ინტერნაციონალური და ინტერკულტურული ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს მიერ დადგენილი პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მიხედვით.</p> <p>სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:</p> <p>ა) შუალედურ შეფასებებს (ყოველდღიური აქტიურობა, მიმდინარე რეიტინგული შეფასება და შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებული სხვა კომპონენტები);</p> <p>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.</p> <p>სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: შუალედური და შემაჯამებელი (საგამოცდო) ტესტები, ზეპირი პრეზენტაციები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პრაქტიკის შეფასების მეთოდები, რომელიც დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</p> <p>სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.</p> <p>შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა;</p> <p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;</p> <p>გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;</p> <p>ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;</p> <p>ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელი: ლილე თანდილავა, ასოც. პროფესორი ტელ: 593 34 89 90 ელ-ფოსტა: lile.tandilava@bsu.edu.ge</p>